



# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი

კონცეფცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მეორე მუხლის თანახმად უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პრინციპებია - საჯაროობა, გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭო აქტიურად ცდილობს ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას საკუთარ საქმიანობაში.

2020 წლის 14 აგვისტოს უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ინსტიტუციური ღიაობის სამოქმედო გეგმა, რომლის მესამე ვალდებულება მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. აღნიშნული ვალდებულების მიზანია გაიზარდოს მოქალაქეების ჩართულობა და უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ყველა ჯგუფის ხელმისაწვდომობა საბჭოს საქმიანობაში.

მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება საბჭოს ისტორიის და საქმიანობის შესახებ ცნობიერების გასაზრდელად. ამისათვის ცენტრი უნდა გახდეს ინოვაციური ინსტრუმენტი, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით შესთავაზებს საზოგადოებას რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციების და აქტივობების შესახებ ინფორმაციას, საშუალებას მისცემს მათ ჩაერთონ საბჭოს საქმიანობაში, მიმართონ და შეხვდნენ საკუთარ წარმომადგენლებს და მიიღონ სერვისები მათთვის ხელმისაწვდომ გარემოში.

*კონცეფცია მომზადებულია უმაღლესი საბჭოს მიერ ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია უმაღლესი საბჭო და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.*



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო




გადაუღეთ ფოტო და გაეცანით აჭარის  
უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის  
საბჭოს საქმიანობას



## მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის სტრუქტურა

მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს ინოვაციურ სისტემას, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ და ელექტრონულ სივრცეებს აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობისათვის.

ცენტრი ხელს შეუწყობს უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის, ანგარიშვალდებულების და საჯაროობის გაზრდას. ასევე, ცენტრის მეშვეობით შესაძლებელი იქნება უმაღლესი საბჭოს კომუნიკაციის გაუმჯობესება მოქალაქეებთან, რაც გაზრდის ცნობიერებას საბჭოს ფუნქციებთან დაკავშირებით და გააძლიერებს საბჭოსადმი საზოგადოების ნდობას.



### მოქალაქეთა მისაღები

აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობაში ამჟამად არ არის გამოყოფილი ფიზიკური სივრცე, რომელიც ყველა მოქალაქისთვის უზრუნველყოფს თანაბრად ხელმისაწვდომ გარემოში საბჭოს საქმიანობის, აქტივობების, ღონისძიებების და ფუნქციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრისათვის მოქალაქეებს სჭირდებათ წინასწარ შეხვედრის ჩანიშვნა და ხშირად, დეპუტატებს თუ აპარატის წარმომადგენლებს სამუშაო ოთახებშიც კი არ აქვთ შეხვედრის ჩატარების შესაძლებლობა.

მართალია, აჭარის უმაღლესი საბჭო 2022 წლიდან გეგმავს შენობის სრული ადაპტირების უზრუნველყოფას, თუმცა ამ პერიოდამდე საბჭოს შენობის მხოლოდ მცირე ნაწილია ხელმისაწვდომი **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** პირებისათვის, რის გამოც მოქალაქეთა საკმაოდ დიდ ჯგუფს საკუთარ წარმომადგენლებთან შეხვედრის შესაძლებლობაც კი არ აქვთ.

მოქალაქეთა მისაღების მოწყობა შესაძლებელია უმაღლესი საბჭოს შესასვლელში, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაწვდომია **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის** და ამ სივრცის სრული ადაპტირება ბევრად მოკლე ვადებში და მცირე რესურსებით არის შესაძლებელი.

მოქალაქეთა მისაღების მთავარი მიზანია უმაღლესი საბჭოს შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება და საბჭოს საქმიანობაში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად, მისაღებში ხდება:

1. მოქალაქეთა მიღება;
2. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** პირებისათვის ადაპტირებული მომსახურების უზრუნველყოფა (მათ შორის, ბრაილის შრიფტზე თარგმნილი მასალების მომზადება, ქესტური ენის მცოდნე თანამშრომლის ჩართულობა და ა.შ.);
3. საინფორმაციო ბროშურების განთავსება საბჭოს საქმიანობის შესახებ;
4. პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული საინფორმაციო მასალის განთავსება ადამიანის უფლებებზე (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, ქალთა უფლებები და ა.შ.);
5. პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განახლებადი მონაცემების ბაზა **მათი სერვისებისა და საკონტაქტო მონაცემების ჩათვლით;**
6. საბჭოს დაგეგმილი აქტივობების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის განთავსება;
7. კორესპონდენციის მიღება, გაცემა და გადამისამართება ;
8. პეტიციის მიღება;
9. საკანონმდებლო წინადადების მიღება;
10. საკანონმდებლო პროცესში საჯარო კონსულტაციის ფარგლებში მოქალაქეთა მოსაზრებების, შენიშვნების და რეკომენდაციების მიღება;
11. საკანონმდებლო პროცესის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება და მათი ჩართვა;
12. აღმასრულებელ შტოზე საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება და ჩართვა;
13. უმაღლესი საბჭოს ონლაინ-სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
14. უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების სხდომების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათში ჩართულობის ხელშეწყობა;
15. უმაღლესი საბჭოს და მისი კომიტეტების სამოქმედო გეგმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
16. დეპუტატების, საბჭოს ორგანოების და საბჭოს ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (გრაფიკი, თავად ანგარიშები და ა.შ.);
17. უმაღლესი საბჭოს წევრებთან და აპარატის შესაბამის თანამშრომლებთან შეხვედრის ჩანიშვნა და შეხვედრის უზრუნველყოფა;
18. მოქალაქეებისთვის ელექტრონული დოკუმენტების შედგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
19. შიდა სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა შესაბამის თანამშრომელთან ან დეპუტატთან პირდაპირი კომუნიკაციის ხელშეწყობად;
20. მცირეწლოვანი ბავშვების თანხმლები პირებისთვის საბავშვო კუთხით სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.



## მოქალაქეთა ელექტრონული მისაღები

მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი გულისხმობს უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის დისტანციური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია პანდემიის და მსგავსი კრიზისების პირობებში.


ვებ-პლატფორმა არ მოიცავს სპეციალური ვებ-გვერდის ან ძვირადღირებული სისტემის მოწყობას, არამედ არსებული ვებ-გვერდის უფრო ეფექტიანად გამოყენებას. ამასთან, აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს აჭარის უმაღლესი საბჭოს დია მმართველობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებასაც.

მოქალაქეთა ელექტრონული მისაღები წარმოადგენს აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე გამოყოფილ **მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მაქსიმალურად ადაპტირებულ** ცალკე გვერდს,<sup>1</sup> სადაც შესაძლებელია მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღება და შესაბამისი მოქმედებების შესრულება:

1. განცხადებით მიმართვის ფორმა, წესი, პროცედურები და ელექტრონული განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა;
2. პეტიცია და შესაბამისი პროცედურები (წერილობითი პეტიციის ინსტრუქცია, ელექტრონული პეტიციის დანერგვის შემდეგ შესაბამის პლატფორმაზე ბმული);
3. საკანონმდებლო წინადადების წარდგენის წესი და პროცედურები, შესაბამისი ფორმები;
4. უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გვერდზე მითითება;
5. უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრის ელექტრონულ ფორმატში ჩანიშვნის მოდული;
6. უმაღლესი საბჭოს გამოკითხვები მოქალაქეების განწყობების და მოსაზრებების შესაფასებლად;
7. უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლისთვის საშვის მიღების პროცედურა;
8. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებზე დასწრების წესი;
9. აჭარის ბიუჯეტის შესახებ საინფორმაციო დილაკი;
10. ინფორმაცია და ბმული უმაღლესი საბჭოს საჯარო კონსულტაციებისთვის (კანონპროექტებზე, სადაც კომენტარის გაკეთებაა შესაძლებელი);
11. უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო ფუნქციების მიმოხილვა და ინფორმაცია, აღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას, მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ;
12. უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო მასალების ელექტრონული ცნობარი;
13. უმაღლესი საბჭოს შენობაში მოქალაქეთა მისაღების შესახებ ინფორმაცია;
14. სასარგებლო ბმულები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების და სხვა საჯარო სერვისების მიმწოდებელი უწყებების შესახებ;

<sup>1</sup> იგულისხმება უმაღლესი საბჭოს არსებულ დომენზე ახალი გვერდის მომზადება, domainname.sca.ge სახით (მაგალითად, open.sca.ge ან moqalae.sca.ge ან მსგავსი). ასეთი გამოცდილება უკვე არსებობს საქართველოს პარლამენტის კანონმდებლობის და სადეპუტატო კითხვებისთვის: <https://info.parliament.ge/>. აღნიშნული მექანიზმით შესაძლებელი ხდება არსებული ვებგვერდის გამოწვევების - ნელი მოქმედების და ადაპტირების სირთულის - დროულად დაძლევა.

15. პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განახლებადი მონაცემთა ბაზა **მათი სერვისებისა და საკონტაქტო მონაცემების ჩათვლით** შესაბამისი ბმულების მითითებით;
16. ელექტრონული მისაღების ადაპტირება უნდა მოხდეს ვებ შინაარსის ხელმისაწვდომობის სახელმძღვანელოს - Web Content Accessibility Guidelines (WCAG) 2.1 -ის AA დონის (Level AA) შესაბამისად, ოთხივე პრინციპის - აღქმადი, ქმედითი, გასაგები, თავსებადი.<sup>2</sup> ადაპტირების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციების ხელები და საქართველოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა (საქართველოს პარლამენტის, ცესკოს, იუსტიციის სახლის და სხვათა ვებგვერდების გამოცდილება)



### საინფორმაციო აქტივობები

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს შესახებ ცნობიერების გაზრდისთვის საჭირო აქტივობების დანერგვას მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის ეგიდით. აღნიშნული ასევე გულისხმობს შემდეგ საქმიანობას:

1. უმაღლესი საბჭოს შენობაში ექსკურსიების ორგანიზება, რომელიც მოიცავს:
  - 1.1. საბჭოს შენობის დათვალიერებას და მისი ისტორიის გაზიარებას;
  - 1.2. საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების მიმოხილვას და დელეგაციებისგან მიღებული საჩუქრების აღწერას;
  - 1.3. უმაღლესი საბჭოს მიერ წინა წლებში განხორციელებული საქმიანობის მოკლე მიმოხილვას;
  - 1.4. უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების ფუნქციების და გეგმების შესახებ საინფორმაციო შეხვედრას.
2. უმაღლესი საბჭოს ფუნქციების, საქმიანობის, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო მასალის მომზადება (როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდვითი სახით).

**უმაღლესი საბჭოს შესახებ საინფორმაციო პუბლიკაციების დაბეჭდვა პრიორიტეტულად ხორციელდება მდგრადი მიდგომებით - გადამუშავებულ ქაღალდზე, მცირე მოცულობით და ადაპტირებული ვერსიებით (მაგ. ბრაილის შრიფტის ვერსია).**

<sup>2</sup> Web Content Accessibility Guidelines (WCAG) 2.1 ხელმისაწვდომია: <https://www.w3.org/TR/WCAG21>

## საგანმანათლებლო აქტივობები

აჭარის უმაღლეს საბჭოს აქტიური კომუნიკაცია აქვს რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მეშვეობით შეიძლება გაძლიერდეს. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია, ცენტრის მიერ მომზადებული საექსკურსიო პროგრამის მიზნობრივად სკოლებისთვის შეთავაზება. ასევე შესაძლებელია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საზღვაო აკადემიასთან და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაციის დამყარება და ექსკურსიის გარდა, სხვა აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა (მაგალითად, სხდომებზე დასწრება, საკანონმდებლო წინადადებების მომზადება და ა.შ.).

გარდა ამისა, მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მეშვეობით შესაძლებელია სასწავლო პრაქტიკის და სტაჟირების პროგრამების შეთავაზება უმაღლესი განათლების საფეხურის სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფს როგორც ცნობიერების გაზრდას, ასევე სამომავლოდ კვალიფიციური კადრების დაინტერესებას უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობისთვის.

## თანამშრომლობა სხვა უწყებებთან

მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის ფიზიკურ და ციფრულ სივრცეებში შესაძლებელია განთავსდეს ინფორმაცია უმაღლესი საბჭოსადმი ანგარიშვალდებული უწყებების (აღმასრულებელი ხელისუფლება) შესახებ, მათი ფუნქციების და მათთან დაკავშირების საშუალებების შესახებ; აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობების და საჯარო მომსახურებების გამწვევი უწყებების (იუსტიციის სახლი, შსს მომსახურების სააგენტო და ა.შ.) შესახებ.

მოქალაქეთა მისაღებში შესაძლებელია განთავსდეს ამ უწყებების საინფორმაციო ბროშურები, ხოლო ციფრულ სივრცეში დამატებითი ბმულების სახით იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია სათანადო განმარტებებით (რისთვის შეუძლია მოქალაქეს მიმართოს უწყებებს და როგორ).

ასევე შესაძლებელია უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრებს შორის თანამშრომლობის დამყარება, რაც მათ შორის ცოდნის, გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარებას შეუწყობს ხელს.<sup>3</sup>

მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრს აქვს რესურსი სამოქალაქო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა დაამყაროს, რაც დამატებითი ცოდნის, გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობა იქნება, ამავდროულად, ცენტრის ხელთ არსებული ბაზა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ, საშუალებას მისცემს ცენტრს პარტნიორ ორგანიზაციებთან გადაამისამართოს მოქალაქეები თემატიკის მიხედვით.

## ადამიანური რესურსები

შესაბამისი ფუნქციების მქონე თანამშრომლები უზრუნველყოფენ როგორც მოქალაქეთა მისაღების ფუნქციონირებას ორივე სივრცეში, ასევე, აქტივობების **აღრიცხვას, შეჯამებას და ანალიზს** უმაღლესი საბჭოს მიერ შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად.

**ვარიანტი 1:** მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მართვა და მისი მუშაობის უზრუნველყოფა ძირითადად საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს უნდა წარმოადგენდეს.

**ვარიანტი 2:** უმაღლესი საბჭოს აპარატში შესაძლოა გამოიყოს ცალკე სტრუქტურული ერთეული ან პირთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მოქალაქეებთან

<sup>3</sup> პარლამენტის მოქალაქეთა ჩართულობის [კონცეფცია](#).

ურთიერთობაზე და ზოგადად, ღია მმართველობის საკითხებზე. შესაბამისად, მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მართვა და შესაბამისი ფუნქციების შესრულებაც სწორედ ასეთი ერთეულის ან პირების მიერ იქნება მიზანშეწონილი.

თუმცა აუცილებელია შესაბამისი პერსონალის გადამზადება, სულ მცირე შემდეგ საკითხებში:

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები

მომსახურების გაწევის სტანდარტები და ეთიკა

ვებ-სივრცეში მოქალაქეებთან ურთიერთობის წესები და ეთიკური სტანდარტები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის ეტიკეტი და სტანდარტი (მ.შ. ჟესტური ენა, **მართებული ტერმინოლოგიის გამოყენება**)

ბავშვთა უფლებები და ბავშვთა ფსიქოლოგია

**სამოქმედო გეგმა**

N	აქტივობა	ვადა	პასუხისმგებელი / პარტნიორი
1.	<b>მოქალაქეთა მისაღების (ფიზიკური სივრცე) ამოქმედება</b>		
1.1.	სივრცის გამოყოფა	მაისი 2021	აპარატი
1.2.	სივრცის მოწყობა	ივლისი 2021	აპარატი
1.3.	სივრცის ადაპტირება	აგვისტო 2021	აპარატი
1.4.	სივრცის აღჭურვა (ავეჯი, ტექნიკა)	აგვისტო 2021	აპარატი
1.5.	საინფორმაციო მასალების მომზადება და ბეჭდვა	მუდმივად	აპარატი, IDFI, UNDP
1.6.	ადამიანის უფლებების და დემოკრატიის თემატიკაზე საინფორმაციო მასალის განთავსება	ივლისი 2021	აპარატი, შშმ პირთა საინფორმაციო და მხარდაჭერის ცენტრი, OGP საკონსულტაციო ჯგუფის წევრი ორგანიზაციები
1.7.	რეგიონში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის განთავსება	ივლისი 2021	აპარატი, ინტელექტი
1.8.	აჭარის უმაღლესი საბჭოს შესახებ გზამკვლევის შემუშავება	აგვისტო 2021	აპარატი, UNDP
2.	<b>მოქალაქეთა ელექტრონული მისაღების ამოქმედება</b>		
2.1.	ვებ-გვერდზე ცალკე გვერდის გამოყოფა და შინაარსის განსაზღვრა	ივლისი 2021	აპარატი, IDFI, UNDP
2.2.	ინფორმაციის თავმოყრა და განთავსება	ივლისი 2021	აპარატი
2.3.	რეგიონში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის განთავსება	ივლისი 2021	აპარატი, ინტელექტი
2.4.	ვებ-გვერდზე ინტერაქციული ფუნქციების დანერგვა (საშვის მიღება, განცხადების დაწერა, შეხვედრის ჩანიშვნა)	აგვისტო 2021	აპარატი, IDFI, UNDP
2.5.	მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის გვერდის ადაპტირებული ვერსიების მომზადება	აგვისტო 2021	აპარატი, IDFI, UNDP



N	აქტივობა	ვადა	პასუხისმგებელი / პარტნიორი
3.	<b>საექსკურსიო პროგრამის დანერგვა</b>		
3.1.	საექსკურსიო პროგრამა - ისტორიული ნაწილის შემუშავება შესაბამისი პირების ჩართულობით	ივნისი 2021	აპარატი, IDFI, UNDP
3.2.	საექსკურსიო პროგრამა - აჭარის უმაღლესი საბჭოს ისტორია, ფუნქციები, სამოქმედო გეგმები	ივნისი 2021	აპარატი, IDFI, UNDP
3.3.	საექსკურსიო სივრცეების შერჩევა - განსაკუთრებული არქიტექტურული ნაწილები, მნიშვნელოვანი სივრცეები, საინტერესო საჩუქრები ან სხვა.	ივნისი 2021	აპარატი
3.4.	დამატებითი ექსპონატების მოძიება - პირველი კონსტიტუციის ისტორია ან სხვა.	ივლისი 2021	აპარატი
4.	<b>ადამიანური რესურსების გაძლიერება</b>		
4.1.	<b>ვარიანტი 1:</b> თანამშრომლ(ებ)ის გამოყოფა	ივნისი 2021	აპარატი
4.2.	<b>ვარიანტი 2:</b> სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება და თანამშრომლების შერჩევა	ივნისი 2021	აპარატი
4.3.	თანამშრომლების გადამზადება	აგვისტო-დეკემბერი 2021	აპარატი, UNDP, IDFI, შშმ პირთა საინფორმაციო და მხარდაჭერის ცენტრი